

ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური გარემო

ვასილ ხუციშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: ფულადი ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, მაკროეკონომიკური გარემო

მაკროეკონომიკას საქმე აქვს ერთიან მთლიან ეკონომიკასთან, იგი იხილავს კავშირთა რთულ სისტემას, რომელიც საბაზრო მექანიზმად არის ცნობილი. მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა ურთიერთ ზემოქმედებენ და უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკის მაკრომოდრაობის გაანალიზებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ამა თუ იმ ინდივიდუალური მოვლენის მიკრომექანიზმის შესწავლა.

მსოფლიოს განვითარებული ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ გონივრულად შევუხამებთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრინციპებს მიკროეკონომიკური გარდაქმნების ეფექტიან პრინციპებთან და ამ გზით უზრუნველყოფთ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის ხანგრძლივი პერიოდისათვის განსაზღვრულ პერსპექტივაში მაკროეკონომიკური პოლიტიკა ორ ძირითად მიზანს ისახავს: 1. სწრაფი ეკონომიკური ზრდა და 2. შრომის მაღალი ნაყოფიერების მიღწევა. ეკონომიკური ზრდა ნიშნავს მოცემული ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობების წლიდან წლამდე ზრდას 1 სულ მოსახლეზე, ხოლო შრომის მწარმოებლურობა გვიჩვენებს გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას დახარჯული რესურსების ყოველ ერთეულზე.

როგორც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფო არა მარტო ეკონომიკის ეფექტიანობისა და სოციალური სამართლიანობის დაცვას უწყობს ხელს, არამედ თავის თავზე იღებს მაკროეკონომიკურ ფუნქციასაც, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და სტაბილურობა.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებისას, ამ ქვეყნებმა კურსი აიღეს ეკონომიკურ ზრდაზე და შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, რის შედეგადაც ფორმირდება ისეთი საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელიც მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, წარმოების სტიმულირებისაკენ. საყურადღებოა, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობამ საგრძნობლად შეამცირა და შეზღუდა საბიუჯეტო ხარჯები, მეტი ყურადღება მიაქცია საბიუჯეტო დანაზოგების მეოხებით სიახლეების დანერგვას. ეს ქვეყნები შეეცადნენ შეემცირებინათ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რათა გაზრდილიყო ეკონომიკის განვითარებისათვის გამოყოფილი კაპიტალდაბანდებანი. ამავე დროს საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში გააქტიურდა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რათა მომხდარიყო წარმოების, უმუშევრობისა და ინფლაციის არასასურველი რხევების დაძლევა. ჩვენი აზრით, ანალოგიური გამოცდილება მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას საქართველოს სინამდვილეში.

ამჟამად ყველა განვითარებულ ქვეყანაში არსებობს შერეული ეკონომიკა, სადაც საბაზრო მექანიზმი განსა-

ზღვრავს ფასების უმეტესობასა და საქონლის რაოდენობას, სახელმწიფო კი საგადასახადო განაკვეთების, ხარჯებისა და ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რეგულირებით ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, ეკონომიკის რეგულირების, საერთო ეკონომიკის განვითარების ძირითად კანონზომიერებებზე ერთობლივი მიწოდებისა და მოთხოვნის ზეგავლენის თეორიული დასაბუთება და ანალიზი განსაკუთრებით ღრმად და საფუძვლიანად არის წარმოდგენილი კეინზიანურ და მონეტარულ თეორიებში.

კეინზიანური თეორია გამოდის იქიდან, რომ აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ამა თუ იმ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, კერძოდ, წარმოების მაკროსტრუქტურის რეგულირებაში. კეინზიანური თეორიის მიხედვით ეკონომიკური ციკლის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი არსი მდგომარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის უკმარისობის კომპენსაციაში, რაც იმას გულისხმობს, რომ წარმოებასთან შედარებით, როგორც კი დაეცემოდა მოსახლეობის ერთობლივი მოთხოვნა, მაშინვე ჩაერეოდა სახელმწიფო, რომელიც გადასახადების შემცირებით ან ბიუჯეტის გასავლების გადიდებით, ან ერთობლივი ღონისძიებებით, ამაღლებდა მოსახლეობის გადახდისუნარიან მოთხოვნასა და აფართოებდა წარმოებას, რითიც ეკონომიკაში აღადგენდა სრულ დასაქმებას.

მონეტარული თეორია, რომლის ფუძემდებელია ამერიკელი ეკონომისტი, „ჩიკაგოს სკოლის“ ლიდერი მილტონ ფრიდმენი, კეინზიანური თეორიისგან განსხვავებით, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგია. ფრიდმენის აზრით, სახელმწიფოს სოციალური დანახარჯები, ერთი მხრივ, ზრდიან ბიუჯეტის დეფიციტსა და ინფლაციას, ხოლო, მეორე მხრივ, შრომისადმი სტიმულირების დაცემით აქვეითებენ წარმოების ეფექტურობას. მისი შეხედულებით ფულადი მასა გადამწყვეტ გავლენას ახდენს ფასების დონეზე.

მაკროპროპორპციების დარღვევის მთავარ მიზეზად მონეტარისტები თვლიან ფულის რაოდენობის ცვლილებას, რაც გავლენას ახდენს ერთობლივ მოთხოვნაზე, რის გამოც, სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა მათი აზრით, არის უწინარეს ყოვლისა, ფულზე მოთხოვნის სტაბილურობის უზრუნველყოფა. ამ თეორიის მიხედვით, ფულის მასის ზრდა სტაბილური მარაგების დროს წარმოადგენს ეკონომიკის ზრდის სტიმულს, ხოლო სახელმწიფოს კონტროლი ფულადი მასის ცვლილებაზე საკმარისია

საბაზრო ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

თანამედროვე მონეტარული თეორია ითვალისწინებს ინფლაციას, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის არსებობას. ამასთან, მათი კეთილდღეობის ზრდა მიჩნიათ ფულზე მოთხოვნის განსაზღვრულ ფაქტორად.

განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებში სახელმწიფო ზემოქმედება ამა თუ იმ სისტემაზე - კეინზიანურსა თუ მონეტარულზე - ხორციელდება ეკონომიკაში კონკრეტულ სიტუაციაზე მკაცრად დამოკიდებულების პირობებში და მისი განსაზღვრული ფაქტორის წინასწარი ობიექტური ანალიზის საფუძველზე. ამგვარად, აუცილებელია, დადგინდეს ეკონომიკური განვითარების ციკლურობის კონკრეტული ფაზა, რაც ყოველ განვითარებად ეკონომიკურ სისტემას ორგანულად ახასიათებს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაკროეკონომიკური რეგულირების სფეროს პრობლემის სისტემურ შესწავლას. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხელშეწყობ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირება. ამ ბაზრის მეშვეობით წარმოებს მოსახლეობის, საწარმოებისა და სახელმწიფოს თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და კრედიტის სახით მისი განთავსება წარმოების განვითარებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ფრიად საჩქარო და საშური საქმეა საქართველოში თვითრეგულირებადი საბაზრო ურთიერთობის გონივრული ორგანიზაცია და მისი დამკვიდრება. აქ დაყოვნება დიდ ზიანს მოუტანს ქვეყანას და ხელს შეუშლის მისი კრიზისიდან გამოსვლასა და ეკონომიკურ აღორძინებას. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაზრო ეკონომიკა შეუთავსებელია წარმოების დაცემასთან, მისი მასშტაბების სისტემატიურ შემცირებასთან. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოს წინაშე მდგომი გადაუდებელი და პირველხარისხის ამოცანაა საქართველოში წარმოების ვარდნის შეჩერება და მისი დაძლევა, საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის არასაკმარისად აქტიური მოქმედების ერთ-ერთი მიზეზია ვაჭრობის ობიექტის, ანუ ფასიანი ქაღალდების არარსებობა.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების

ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულყოფილი ფუნქციონირება. მისი მეშვეობით უნდა მოხდეს მოსახლეობის, საწარმოებისა და სახელმწიფოს თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაცია და კრედიტის სახით მისი განთავსება წარმოების განვითარებისა და სახელმწიფოს სტრატეგიული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

პირველ რიგში საკითხი ეხება ქვეყნის ფულის მიმოქცევის განმტკიცებას.

ეკონომიკური მეცნიერების მიერ და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების განვითარების პრაქტიკით დადგენილია, რომ ფრთხილი და გონივრული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ღონისძიებებით სახელმწიფოს შეუძლია დიდი გავლენა მოახდინოს წარმოების, დასაქმების და ინფლაციის დონეზე. სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკა – ეს არის გადასახდელების განსაზღვრისა და სახსრების გაანალიზებისა პრეროგატივა, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გულისხმობს ბუნებაში მყოფი ფულის რაოდენობის რეგულირებას, რომელიც გავლენას ახდენს სესხის საპროცენტო განაკვეთზე, კაპიტალდაბანდებაზე და კრედიტის პირობებზე დამოკიდებულ სხვა საფინანსო ოპერაციებზე. სწორედ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ამ ორი მექანიზმით სახელმწიფო არეგულირებს მთლიან ხარჯებს, გავლენას ახდენს წარმოების დონეზე და ბრდის ტემპებზე, დასაქმებისა და უმუშევრობის დონეზე, აგრეთვე ფასების მდგომარეობასა, ინფლაციის დონესა და ტემპებზე.

საყურადღებოა, აღინიშნოს, რომ ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნები უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში წარმატებით ახორციელებენ ცხოვრებაში ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკას, რომლის მეოხებითაც ამ ქვეყნებმა ეკონომიკური აღმავლობის შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწიეს.

დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ფასიანი ქაღა-

ლდების მიმოქცევა მიმართულია ქვეყანაში ფულად-საკრედიტო სტაბილურობის მიღწევისაკენ. ამ მოვლენის ესეოდენ ფართო გაგების პირობებში შესაბამისი სახელმწიფოებრივი ორგანოები, რომლებიც პასუხს აგებენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, ვალდებული არიან, განსაზღვრონ კონკრეტული მიზნები და გამოიყენონ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტები. ქვეყნების უმრავლესობისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საბოლოო მიზანია დაბალი და სტაბილური ინფლაციის უზრუნველყოფა.

საბაზრო ეკონომიკური სისტემის პირობებში ფართოდ გამოიყენება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ის ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთესად უზრუნველყოფენ საბაზრო სისტემის ფუნქციონირებას. ამიტომ არაპირდაპირ ბაზარზე ორიენტირებული ინსტრუმენტების გამოყენება უფრო მომგებიანია, ვიდრე ადმინისტრაციული კონტროლის ღონისძიებათა პრაქტიკული გამოყენება. ამ უკანასკნელთ შეუძლიათ დროებით, გარკვეულ პერიოდში იმუშაონ, მაგრამ ახასიათებთ საბაზრო ურთიერთობათა ძირითადი მომენტების გაყალბების ტენდენციას. იმ სამ ძირითად არაპირდაპირ მექანიზმს (სარეზერვო მოთხოვნები, ოპერაციები ღია ბაზარზე და მუდმივი მექანიზმები) შორის ბოლო ორი მიეკუთვნება საბაზრო (ნებაყოფლობით) ოპერაციებს. ოპერაციები ღია ბაზარზე ხორციელდება ცენტრალური ბანკების აქტივობით, მაშინ, როდესაც სახსრების გასესხების ან დეპონირების მექანიზმები იქმნება რა ბანკების მიერ, განსაზღვრულია ცენტრალური ბანკის ლიმიტებით და გამოიყენება კომერციული ბანკების ინიციატივით.

საქართველოში მაკროეკონომიკური რეგულირების პირობებში ობიექტურად აუცილებელია, ჩატარდეს და შემდგომ განვითარდეს სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ფულადი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტური მოქმედება, რაც გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც გადაწყვეტს მოსახლეობის მწვავე სოციალურ პრობლემებს.

The formation of the macro-economic environment of money and securities market

Vasil Khutsishvili

Doctor of Economics, Georgian Technical University Associated Professor

Key words: money market, securities market, the macroeconomic environment

The article analyzed the experience of developed countries, macroeconomic policy, economic regulation, the overall economic development of the main aspects of the laws. Discussed the urgent and essential problems and tasks, such as in the production of its downturn and overcome the economic crisis, the perfection functioning of the securities market, cautious and prudent fiscal and monetary measures, and the scope of legislative acts to regulate.